შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის

სტუდენტთა მე 19 სამეცნიერო კონფერენცია

აბსტრაქტების კრებული

23 ივნისი 2023 წელი

ქუთაისი

საორგანიზაციო კომიტეტი:

1. **მალვინა ყიფიანი** - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე;
2. **ნიკო ჩიხლაძე** - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი- კომიტეტის წევრი
3. **თეა ვალიშვილი** - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;
4. **გოდერძი შანიძე** - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;
5. **მაია აზმაიფარაშვილი** - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი;
6. **დიანა უგლავა** - შპს ქუთაისის უნივერსსიტეტის მოწვეული ლექტორი, კომიტეტის წევრი;
7. **გვანცა ჯიჩოშვილი** - შპს ქუთაისის უნივერიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი - კომიტეტის წევრი.

შინაარსი:

1. **ნინო ჭოლაძე,** “ საქართველოს რეგიონების უთანაბრობის ძირითადი ასპექტები.” სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალვინა ყიფიანი - ქუთაისის უნივერსიტეტი.....გვ 4
2. **მარიამ ფოფხაძე**, ‘’მიგრაციის და სოციალური პრობლემების ურთიერთობები.’’ სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალვინა ყიფიანი - ქუთაისის უნივერსიტეტი.....გვ 5
3. **დიანა მუშკუდიანი,** ’’წმინდა ინვესტიციები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.’’სამეცნიერო ხელმძღვანელი: აზა იფშირაძე - ქუთაისის უნივერსიტეტი..... გვ 5
4. **ხატია კაკაურიძე,** ’’აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვის აქტუალური საკითხები.’’ სამეცნიერო ხელმძღვანელი: პანტელეიმონი კლდიაშვილი - ქუთაისის უნივერსიტეტი .....გვ 6
5. **ვიტალი ბერძული,** ‘‘საინვესტიციო ბაზრები თანამედროვე გამოწვევების ფონზე’’ სამეცნიერო ხელმძღვანელი: აზა იფშირაძე - ქუთაისის უნივერსიტეტი.....გვ 7
6. **კესო მოწონელიძე,** ‘’ ინვესტიციები ინტელექტუალურ კაპიტალში და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების გამოწვევები საქართველოში.’’ სამეცნიერო ხელმძღვანელი: აზა იფშირაძე - ქუთაისის უნივერსიტეტი.....გვ 8
7. **ვერონიკა დანელია,** ‘’ სახელმწიფო ვალის ეფექტური მართვის ძირითადი გამოწვევები საქართველოში.’’სამეცნიერო ხელმძღვანელი:ხათუნა შალამბერიძე-ქუთაისის უნივერსიტეტი.....გვ 9
8. **ლიკა ლანჩავა,** ‘’ ფინანსური კონტროლის მართვის სიახლეები საქართველოში.’’ სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა შალამბერიძე-ქუთაისის უნივერსიტეტი.....გვ10
9. **თეონა როდინაძე,** ”მარკეტინგი საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში.’’ სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო თავაძე - ასოცირებული პროფესორი, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი.....გვ11
10. **მარიამ ვალიშვილი,** „მულტიკულტურალიზმის გავლენა ეკონომიკურ ქცევაზე“. სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ციცინო ძოწენიძე. ქუთაისის უნივერსიტეტი.....გვ 12
11. **ლილე ჩარქსელიანი** „კონტრაქტების როლი საერთაშორისო ბიზნესის რეგულირებაში“ ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ეკატერინა ბაბუნაშვილი, ქუთაისის უნივერსიტეტი..... გვ 13

ნინო ჭოლაძე,

ქუთაისის უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალვინა ყიფიანი.

“ საქართველოს რეგიონების უთანაბრობის ძირითადი ასპექტები.”

აბსტრაქტი

ქვეყანაში მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია რეგიონებს შორის არსებული დისპროპორციების დაძლევისა და გამოთანაბრების საკითხი. რეგიონების დიფერენციაციის პრობლემა საბჭოთა ეპოქიდან მიღებული მემკვიდრეობაა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც ბევრი არასწორი რეფორმა იქნა გატარებული მართვის და დაგეგმარების თვალსაზრისით. შედეგად, უფრო მეტად გაღრმავდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა. არსებულის დასაძლევად სტრატეგიული განვითარების რეგიონალურ პროგრამებში რეგიონების თავისებურებების და ადგილობრივი შესაძლებლობების გვერდით გათვალისწინებული უნდა იქნას საერთო ეროვნული ღირებულებები, ახალი გეოპოლიტიკური ცვლილებები, ქვეყანაში არსებული კონფლიქტები, მათი გადაწყვეტის ღრმა მეცნიერული ანალიზი და პოტენციალი.

საკვანძო სიტყვები: *უთანაბრობა, რეგიონების ეკონომიკური განვითარება, რეგიონული პროგრამები*

მარიამ ფოფხაძე

ქუთაისის უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალვინა ყიფიანი.

"მიგრაციის და სოციალური პრობლემების ურთიერთობები."

აბსტრაქტი

გარდამავალი ეკონომიკის დამახასიათებელი ქვეყნებისთვის სოციალური უთანასწორობისა და ცხოვრების დაბალი ხარისხის გამო, მიგრაციულმა პროცესმა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახადა დაეტოვებინა საკუთარი ქვეყანა და საარსებო წყარო სხვა, სრულიად უცხო გარემოში ეპოვა. პრობლემის აქტუალობას განაპირობებს მიგრაციულ პროცესებში მონაწილე ადამიანების ასაკობრივი სტრუქტურა და შემადგენლობა. სამუშაო ძალის ახალგაზრდა და უმეტესწილად კვალიფიციური უნარების მქონე ადამიანებს უამრავი პრობლემების დაძლევა უწევთ უცხო გარემოში საკმაოდ დაბალი კვალიფიკაციის დონის სამუშაოს შესასრულებლად. ეს საკითხი ძალზე მტკივნეული და პრობლემურია ისეთი პატარა და მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

საკვანძო სიტყვები: *მიგრაცია, სოციალური პრობლემები, სამუშაო ძალა,*

დიანა მუშკუდიანი,

ქუთაისის უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: აზა იფშირაძე

"წმინდა ინვესტიციები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება."

აბსტრაქტი

ინვესტიციების ზრდისა და აქტიური საინვესტიციო საქმიანობის შედეგად, იქმნება ახალი კომპანიები, სამუშაო ადგილები, იქმნება პირობა არსებული ტექნოლოგიებისა და საწარმოო აღჭურვილობის განახლებისა და უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების

დანერგვისათვის და ა.შ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, წარმოების ინტენსიფიკაცია, ახალი საქონლის შექმნა და მიწოდება, შრომითი რესურსის განახლება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.

ყოველივე აღნიშნულის მისაღწევად და ზოგადად ეკონომიკის ზრდა -განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია საინვესტიციო რესურსები. აღნიშნული კიდევ უფრო აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც სისტემური ცვლილებები და რწფორმები მიმდინარეობს და ხდება ეკონომიკის გადაწყობა საბაზრო ურთიერთობებზე. იმ პირობებში, როდესაც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალის მნიშვნელოვან დეფიციტს აქვს ადგილი, ინვესტიციების მოზიდვას საერთაშორისო დონიდან, მეტად აქტუალურია .

საკვანძო სიტყვები: *ინვესტიციები, ტექნოლოგიური მიღწევები, რეფორმებიკაპიტალის დეფიციტი*

ხატია კაკაურიძე,
ქუთაისის უნივერსიტეტი.
სამეცნიერო ხელმძღვანელი: პანტელეიმონი კლდიაშვილი

აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვის აქტუალური საკითხები

აბსტრაქტი

ძირითადი მიზანია კერძო სექტორში არსებული აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვის აქტუალურო საკოთხების, გამოწვევების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობა.

კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოში კერძო სექტორის საწარმოებში აქტივების და ვალდებულებების აღირცხვა მიმდინარეობს ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით, რომელიც პრაქტიკაში დანერგვიდან მიუხედავად განვლილი ორი ათეული წლისა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. საწარმოებისათვის მნიშვნელპვან გამოწვევას წარმოდგენს ბასს და ფასს ნორმებისა და წესების

გაგება და მათ საფუძველზე აქტივებისა და ვალდებულებებისაღრიცხვა. მნიშვნელოვანია ქვეყანაში აქცენტი გაკეთდეს ფინანსური მონაცემების ჩაწერის, კლასიფიცირების, ანგარიშგების მომზადებისა და ინტერპრეტაციის პროცესის სრულყოფაზე, როსთვისაც საჭიროა ბუღალტრებისათვის მყარი პროფესიული ცოდნა.

საკვანძო სიტყვები: *აქტივები, ვალდებულებები, აღრიცხვა, კერძო სექტორი*

ვიტალი ბერძული,
ქუთაისის უნივერსიტეტი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: აზა იფშირაძე.

"საინვესტიციო ბაზრები თანამედროვე გამოწვევების ფონზე"

აბსტრაქტი

ნებისმიერი ეკონომიკა, განვითარების გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ, მოითხოვს საინვესტიციო ბაზრის ფორმირებას და მისი საშუალებით კიდევ უფრო მეტი ასპარეზის მიცემას ბიზნეს-საქმიანობისათვის. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საინვესტიციო პროცესის სუბიექტებისა და მათი ინტერესების თავმოყრის მექანიზმი, რომელიც მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობიდან გამომდინარე, ქმნის კონკრეტულ პირობებს ფასების ფორმირებისათვის, კონკურენციის პირობებისათვის, ინტერესების რეალიზებისათვის, რაც უზრუნველყოფს ინვესტიციათა წრებრუნვას, ფულადი რესურსების გარდაქმნას საინვესტიციო რესურსებად, რეალურ დაბანდებებად და კაპიტალის ღირებულების ზრდას.

საინვესტიციო ბაზარი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინვესტორების, ინვესტიციების მომხმარებლებისა და საინვესტიციო შუამავლების ერთობლიობა და მათ შორის ჩამოყალიბებული სავაჭრო ურთიერთობათა ორგანიზების სისტემა. საინვესტიციო ბაზარი ფინანსური ბაზრის ნაწილია და, თავის მხრივ, მოიცავს სასესხო კაპიტალის ბაზარს, საფონდო ბაზარს, ზოგიერთი რეალური აქტივის ბაზარს. თანამედროვე ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირება წარმოუდგენელია საინვესტიციო ბაზრების გარეშე, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნეს-საქმიანობის უწყვეტობას, სხვადასხვა სახის ბიზნეს და

სოციალური პროექტების განხორციელებას, მონაწილეობენ წარმოების მასშტაბების ზრდასა და ეფექტიანობის ამაღლებაში.

საკვანძო სიტყვები: *ინვესტიციები, საინვესტიციო ბაზრები, გამოწვევები*

კესო მოწონელიძე,
ქუთაისის უნივერსიტეტი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: აზა იფშირაძე

ინვესტიციები ინტელექტუალურ კაპიტალში და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების გამოწვევები საქართველოში.

აბსტრაქტი

ინტელექტუალური ინვესტიციების მზარდი მნიშვნელობა თანამედროვე განვითარების ერთ-ერთი თანამდე პროცესია. კომპანიის ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა, მისი ინოვაციური საქმიანობის პროცესში შექმნილი ან შეძენილი აქტივების გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლით განისაზღვრება. ინტელექტუალური ინვესტიციების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას სარგებელი მოაქვს არამხოლოდ მათი მფლობელებისათვის, არამედ ზოგადად, ეკონომიკისა და ქვეყნისათვის. ინტელექტუალური საკუთრების ბაზრებზე ვაჭრობის უმეტესი წილი მოდის შემდეგი სახის აქტივებზე - გამოგონება, სასარგებლო მოდელი და სამრეწველო ნიმუშები. ინტელექტუალური ფასეულობის მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია საფირმო დასახელება, სასაქონლო და მომსახურების ნიშნები, საქონლის შექმნის ადგილის დასახელება და ა.შ. ანუ ყოველივე ის, რაც განასხვავებს ერთი კომპანიის წარმოებულ პროდუქციას სხვებისაგან. ინტელექტუალური კაპიტალი, როგორც ინვესტირების ობიექტი, საინვესტიციო ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და შესაბამისი ბაზარი ფუნქციონირებს ლიცენზიების, საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურების, ნოუ-ჰაუს, მეცნიერული დამუშავების, პროექტებისა და სხვათა ყიდვა-გაყიდვის გზით.

საკვანძო სიტყვები: *ინვესტიციები, ინტელექტუალური კაპიტალი, ეკონომიკის გამოწვევები.*

ვერონიკა დანელია

ქუთაისის უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა შალამბერიძე

სახელმწიფო ვალის ეფექტური მართვის ძირითადი გამოწვევები საქართველოში

აბსტრაქტი

საქართველოში, ისევე, როგორც სხვა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, ცდილობენ ვალი აიღონ შესაძლო მინიმალური საპროცენტო განაკვეთით და ხანგრძლივი ვადით. განვითარებული ქვეყნები ვალს იღებენ იმისთვის, რომ განახორციელონ ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ღონისძიებები, განაპირობონ ეკონომიკური სტაბილიზაცია, დასაქმება და საყოველთაო კეთილდღეობა. საქართველოს შემთხვევაში, ვალი აიღება მიმდინარე ვალდებულებების გასასტუმრებლად და არა გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტის მისაღებად. როდესაც ვსაუბრობთ სახელმწოფო ვალის ავკარგიანობაზე, აუცილებლად გასათვალისწინებელია, მისი როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები, იმ შემთხვევაში თუ მოხდება ვალის გონივრული მართვა, მისი რაციონალური გამოყენება, ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფა და ლიმიტების დაცვა, იგი შესაძლებელია ეკონომიკის მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ბერკეტად იქცეს, ვალის საშუალებით შეიძლება დაფინანსდეს ინვესტიციები, თავიდან აცილებულ იქნას გადასახადების ზრდა და ა.შ. რამაც ეკონომიკის ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა შესაძლოა იქონიოს.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო ვალი, ეკონომიკური განვითარება, ვალის მართვა*

ლიკა ლანჩავა

ქუთაისის უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:ხათუნა შალამბერიძე

ფინანსური კონტროლის მართვის სიახლეები საქართველოში

აბსტრაქტი

სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში ფინანსურ კონტროლს აუცილებელი და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს კი განისაზღვრება სახელმწიფო ფინანსებით, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებას და გამოყენებას, ასევე იმ ელემენტების ერთობლიობას, რომელიც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გამოყენებასთან დაკავშირებულ მმართველობით საქმიანობას უკავშირდება და ის მოიცავს ბუნებრივ რესურსებს, წარმოების, განაწილებასა და მომსახურების სფეროებს სუბიექტების საწარმოო და ფინანსურ საქმიანობას. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის გაძლიერება სახელმწიფო სექტორის ფინანსების მართვის რეფორმის აუცილებელი და მთვარი კომპონენტია, ის მთავრობას ეხმარება ჩამოაყალიბოს თანამედროვე კონტროლის გარემო საჯარო ადმინისტრაციაში. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მიზანია საჯარო ფინანსური მართვის ხარისხის გაუმჯობესება. ფინანსური კონტროლის მართვის სიახლეები მოიცავს შემდეგ უახლეს კომპონენტებს: შიდა აუდიტის გაძლიერების მექანიზმებს საჯარო სექტორში, რომელიც ხორციელდება ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვადებულების პროგამის ფარგლებში ასევე, შიდა აუდიტის გლობალური სტანდარტების ცვლილებების პროცესს, რომელიც ითვალისწინებს IIA ის საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩოს (IPPF) და შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების გასაუმჯობესებლად ცვლილებებს.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური კონტროლი, შიდა აუდიტი, საჯარო სექტორი*

თეონა როდინაძე

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო თავაძე

მარკეტინგი საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში.

აბსტრაქტი

საშემსრულებლო ხელოვნების სფერო წარმოუდგენელია აუდიტორიასთან კავშირის გარეშე. ამიტომ, ამ სფეროს ორგანიზაციების მუდმივი საზრუნავია აუდიტორიასთან მუშაობა, ანუ საზოგადოების დაინტერესება მათი შემოქმედებით. ამ თვალსაზრისით, საჭიროა მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება. ეს არის სარეკლამო მასალების დამზადება (აფიშა, ბანერი, ბუკლეტი, ფლაერი, მოსაწვევი), მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან ურთიერთობა (პრეს-კონფერენცია, სიუჟეტი, ტელე-რადიო რეკლამა), საზოგადოებრივი ინტერესების კვლევა (გამოკითხვები, სპეციალური შეხვედრები სამიზნე აუდიტორიასთან) და მიღებული შედეგების გაანალიზება, რომელიც პირდაპირ აისახება ბილეთებისა და აბონემენტების ფასებზე, რეპერტუარში ამა თუ იმ წარმოდგენის სიხშირის დადგენაზე, სარეპერტუარო პოლიტიკასა და იმ შემსრულებელთა სიის განსაზღვრაზე, რომლის მოწვევასაც აპირებს ორგანიზაცია. საშემსრულებლო ხელოვნების დაწესებულებების პროდუქცია (სპექტაკლი, კონცერტი, ოპერა, ბალეტი) რეკლამირებული უნდა იქნას სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა არხების გზით. საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში სარეკლამო კამპანიის განსახორციელებლად ძირითადად გამოიყენება ისეთივე მეთოდები და საშუალებები, როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, თუმცა, გვხვდება სპეციფიკური ასპექტებიც. საშემსრულებლო ხელოვნების სფეროს ორგანიზაციებში მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია მომხმარებლის, მათი გემოვნებისა და მოთხოვნილებების კვლევა. აუცილებელია იმის ცოდნა, რა ფაქტორები მოქმედებს საშემსრულებლო ხელოვნების ორგანიზაციებში მომხმარებლის ვიზიტის ინტერესის დაქვეითებაზე, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს კულტურისადმი ნაკლები ინტერესის რეალური მიზეზები. აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ნებისმიერი

კატეგორიის მომხმარებელთან წარმატებით სამუშაოდ, საჭიროა მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს სხვაობას ინტერესებში, ცხოვრების წესში, კულტურული ფასეულობებისადმი დამოკიდებულებაში და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: *საშემსრულებლო ხელოვნება, საშემსრულებლო ხელოვნების მარკეტინგი, მარკეტინგული სტრატეგია.*

მარიამ ვალიშვილი

ქუთაისის უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ციცინო დავითულიანი

მულტიკულტურალიზმის გავლენა ეკონომიკურ ქცევაზე

აბსტრაქტი

"მულტიკულტურალიზმის გავლენა ეკონომიკურ ქცევაზე განისაზღვრება ისტორიულ გამოცდილებით, პოლიტიკით და დამოკიდებულებით მრავალფეროვნების მიმართ კონკრეტულ საზოგადოებაში. მულტიკულტურალიზმმა შეიძლება გაამრაველფეროვნოს სამუშაო ძალა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა პერსპექტივის, უნარებისა და გამოცდილების მქონე ინდივიდებს. ამ მრავალფეროვნებას შეუძლია ხელი შეუწყოს კრეატიულობას, ინოვაციას და პრობლემების გადაჭრის უნარებს ორგანიზაციებში.

სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს შემოაქვს თავისი უნიკალური ტრადიციები, პრაქტიკა და ცოდნის სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოების საერთო ცოდნის ბაზის გამდიდრება. ცოდნის ამ ტრანსფერმა შეიძლება გამოიწვიოს ახალი ტექნოლოგიების, პრაქტიკისა და ბიზნეს მოდელების მიღება, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას.

მულტიკულტურულ საზოგადოებებს ხშირად აქვთ კავშირები მრავალ ქვეყანასთან და კულტურასთან. ამას შეუძლია ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობას და ინვესტიციებს, რადგან ბიზნესებსა და ინდივიდებს აქვთ ენობრივი უნარები, კულტურული ცნობიერება და ქსელები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ტრანსსასაზღვრო ეკონომიკურ საქმიანობას.

ენობრივ ბარიერებს, კულტურულ განსხვავებებს და ცვალებად სოციალურ ნორმებს შეუძლიათ შექმნან დაბრკოლებები ეკონომიკურ ურთიერთობებში. თუმცა, საზოგადოებებს, რომლებიც ეფექტურად მართავენ ამ გამოწვევებს ინკლუზიური პოლიტიკის, ენის მხარდაჭერისა და კულტურული ინტეგრაციის პროგრამების მეშვეობით, შეუძლიათ მინიმუმამდე დაიყვანონ უარყოფითი გავლენა და გამოიყენონ მულტიკულტურალიზმის სარგებელი.

საკვანძო სიტყვები: *მულტიკულტურიზმი, კულტურული განსხვავება, ეკონომიკური ქცევა*

ლილე ჩარქსელიანი

ქუთაისისი უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინა ბაბუნაშვილი

კონტრაქტების როლი საერთაშორისო ბიზნესის რეგულირებაში

აბსტრაქტი

"სტაბილური და წარმატებული საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება კონტრაქტის გარეშე შეუძლებელია, ის სამართლებრივი ნორმები რომლებიც მას გააჩნია მას ხდის უნიკალურს ამ თვალსაზრისით ,რადგან კონტრაქტს შეუძლია მხოლოდ სრულყოს ბიზნესის რეგულირება კანონიერად გრძელვადიან პერიოდში და მისი მომავალი რისკის შემცველ სამყაროში."

საკვანძო სიტყვები: *კონტრაქტები, საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო რეგულირება, სამართლებრივი ნორმები*